აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

უმაღლესი საბჭოს წევრის დავით გაბაიძის ანგარიში

(საანგარიშო პერიოდი: 01.09.2022-31.12.2023)

ბათუმი

2024

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. ანგარიშის შესახებ 2
2. პლენარული/ბიუროს სხდომები, კანონშემოქმედებითი საქმიანობა 3
   2.1. უმაღლესი საბჭოს პლენარული/ბიუროს სხდომები 3
   2.2. კანონშემოქმედებითი საქმიანობა 3
3. მოქალაქეთა მიღება, შემოსულ კორესპონდენციაზე რეაგირება 5
4. საერთაშორისო ურთიერთობები 5
5. სხვა აქტივობები 8
   5.1. უმაღლეს საბჭოსი გამართულ ღონისძიებებში მონაწილეობა 8
   5.2. გასვლითი ღონისძიებები: 9
6. საზედამხედველო საქმიანობა 12
   6.1. სადეპუტატო კითხვა 12
   6.2. სხვა საზედამხედველო ინსტრუმენტები 12
7. გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება 13
   7.1. გამჭვირვალობა 13
   7.2. ანგარიშვალდებულება 13
8. მუდმივმოქმედი სათათბირო ორგანოები 14
   8.1. ღია მმართველობის საბჭო 14
   8.2. გენდერული თანასწორობის საბჭო 16
   8.3. ხაზინადართა საბჭო 16
9. დამატებითი ინფორმაცია 17
10. ინფორმაცია ანგარიშვალდებული უმაღლესი საბჭოს წევრის შესახებ 18

1. ანგარიშის შესახებ

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის ინსტრუმენტს, რომლის მეშვეობითაც უზრუნველყოფილია უმაღლესი საბჭოს წევრის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ დაინტერესებულ პირთა ინფორმირება.

უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი განსაზღვრავს საბჭოს წევრის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშის წარდგენის ვალდებულებას, რომელიც სახელმწიფო ინსტიტუტის გამჭვირვალობის უზრუნველყოფისთვის საჭირო მექანიზმია.

როგორც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო განსაზღვრავს პოლიტიკას, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს მოქალაქეთა საჭიროებებს, მოთხოვნებსა და ინტერესებს.

დოკუმენტში თავმოყრილია ინფორმაცია ჩემი, როგორც უმაღლესი საბჭოს წევრის წინაშე არსებული გამოწვევებისა და მიღწევების, კანონშემოქმედებითი, საზედამხედველო და წარმომადგენლობითი საქმიანობის, საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელების შესახებ.

წარმოდგენილი ანგარიში დაეყრდნო უმაღლესი საბჭოს, მისი აპარატის, მუდმივმოქმედი სათათბირო ორგანოებისა და სტრატეგიული დოკუმენტების სამოქმედო გეგმების ფარგლებში მიღებულ ვალდებულებათა შესრულებას და მათი ანალიზის შედეგებს[1], რომლის საანგარიშო პერიოდი მოიცავს **2022 წლის სექტემბრიდან 2023 წლის** დეკემბრის ჩათვლით პერიოდს.

როგორც უმაღლესი საბჭოს წევრი, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, აქტიურად ვმუშაობდი არამხოლოდ საკანონმდებლო და საზედამხედველო საქმიანობის განხორციელების მიმართულებით, არამედ საქართველოს პარლამენტთან

[1] ა) აჭარის უმაღლესი საბჭოს ინსტიტუციური განვითარების სტრატეგიის 2021-2024 წლების სამოქმედო გეგმა;
ბ) აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრის სამოქმედო გეგმები;
გ) აჭარის უმაღლესი საბჭოს კომიტეტების სამოქმედო გეგმები;
დ) აჭარის უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმა;

თანამშრომლობის, რეგიონული პარლამენტების კავშირების გაძლიერებისა და რეგიონის დონეზე რეგიონთაშორისი ამოცანების ხელშეწყობისთვის.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში უმაღლესი საბჭოს საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს საბჭოს ინსტიტუციური გაძლიერება და უწყების საკომუნიკაციო სტრატეგიის ფარგლებში მისი ღიაობისა და მოქალაქეთა მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფა. აღნიშნულ პროცესში მნიშვნელოვანი იყო ჩემი, როგორც უმაღლესი საბჭოს წევრის და ამავდროულად საბჭოს თავმჯდომარის აქტიური ჩართულობა. აღნიშნულთან კავშირში უნდა ითქვას, რომ წინამდებარე ანგარიში მოიცავს, ჩემი, როგორც წევრის, ასევე როგორც უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მიერ განხორციელებულ აქტივობებს.

2. პლენარული/ბიუროს სხდომები, კანონშემოქმედებითი საქმიანობა

2.1. უმაღლესი საბჭოს პლენარული/ბიუროს სხდომები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის თანახმად, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე არ შეიძლება იყოს რომელიმე კომიტეტის წევრი. შესაბამისად, ჩემი როგორც უმაღლესი საბჭოს წევრის და ამავდროულად მისი თავმჯდომარის აქტივობა შემოიფარგლება მხოლოდ უმაღლესი საბჭოს პლენარულ და ბიუროს სხდომებზე მონაწილეობით.[2]

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში გაიმართა 15 პლენარული სხდომა (მათ შორის რიგგარეშე) და ბიუროს 26 - სხდომა. ზემოხსენებულ სხდომებზე ვახორციელებდი, როგორც უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის, ასევე სხდომის თავმჯდომარის უფლებამოსილებებს. ზემოაღნიშნული სხდომების დღის წესრიგი ითვალისწინებდა უფლებამოსილი სუბიექტების მიერ წარმოდგენილი კანონის პროექტის, რეგლამენტის პროექტის, დადგენილებისა და პეტიციის განხილვას.

2.2. კანონშემოქმედებითი საქმიანობა

საანგარიშო პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული იქნა სამართლებრივი აქტები, მათ შორის:

[2] თუმცა, უნდა აღინიშნოს, ისიც, რომ რიგ შემთხვევებში მიწევდა კომიტეტის სხდომებში მონაწილეობა, როგორც საკანონმდებლო ინიციატივის ავტორს და ვიყავი ამ ინიციატივაზე მისი მომხსენებელი.

- კანონი - 3;
- კანონში ცვლილება - 8;
- დადგენილება - 13;
- რეგლამენტში ცვლილება - 6

რაც შეეხება ჩემი, როგორც უმაღლესი საბჭოს წევრის ჩართულობას კანონშემოქმედებით საქმიანობაში, ჩემს მიერ ინიციირებული იქნა შემდეგი სამართლებრივი აქტის პროექტები:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტი ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ (09-01-08/33, 22.09.2022);
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ (09-01-08/42, 23.02.2023);
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ (09-01-08/45, 23.02.2023);
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ 09-01-08/47, 13.04.2023);
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ (09-01-08/43, 23.02.2023);
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის შესახებ“ კანონშიცვლილების შეტანის შესახებ (09-01-08/52, 10.08.2023);
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ (09-01-08/54, 26.10.2023.

გარდა აღნიშნულისა საქართველოს პარლამენტში ჩემი ავტორობით ინიციირებულიქნა

შემდეგი კანონპროექტები:

- „მაჭახელას დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ“ და
- „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ -20.09.2022.
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი - საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს კანონის პროექტი - „საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს პარლამენტში წარდგენის შესახებ (09-01-08/55 26.10.2023 წელი) - მიღებულია: 21.12/2023 წელი;

უნდა აღინიშნოს, რომ უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს პარლამენტში ინიციირებული კანონპროექტების განხილვასთან დაკავშირებით დავესწარი საქართველოს პარლამენტის 14 პლენარულ და საკომიტეტო სხდომას.

3. მოქალაქეთა მიღება, შემოსულ კორესპნოდენციაზე რეაგირება

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აქტიური კომუნიკაცია მქონდა მოქალაქეებთან, როგორც ადგილზე მუნიციპალიტეტებში, ასევე, უმაღლესი საბჭოს შენობაში. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მივიღე:

- 126 მოქალაქე;
- უშუალოდ განვიხილე დაინტერესებულ პირთა 65 განცხადება;
- რეაგირება გავაკეთე სხვადასხვა უწყებებიდან შემოსულ 453 კორესპნოდენციაზე.

4. საერთაშორისო ურთიერთობები

საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებისა და არსებული პარტნიორული (რეგიონული მიმართულებით) ურთიერთობების გაღრმავების მიზნით საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განვახორციელე არაერთი მნიშვნელოვანი ვიზიტი. უმაღლეს საბჭოში ვუმასპინძლე სხვადასხვა ქვეყნის, რეგიონისა და საერთაშორისო ორგანიზაციათა ოფიციალურ დელეგაციას. აქტიური თანამშრომლობა ხორციელდებოდა პარტნიორი და მეგობარი ქვეყნების რეგიონულ საკანონმდებლო ორგანოებთან და საჯარო უწყებებთან არსებული ურთიერთობების გაღრმავებისა და ახალი ორმხრივი თუ მრავალმხრივი თანამშრომლობის ინიციირების მიზნით.

ხაზგასმით მინდა აღვნიშნო ბელგიის სამეფოში ვიზიტი, რომლის ფარგლებში 20 -ზე მეტი შეხვედრა მქონდა ევროკავშირის მაღალი თანამდებობის პირებთან, ასევე სხვადასხვა რეგიონების წარმომდგენლებთან ევროკავშირში. წარმატებული ვიზიტი, სწორედ საერთაშორისო ორგანიზაციის, ევროპის რეგიონთა ინსტიტუტის (IRE) ჩართულობით განხორციელდა.

საგარეო მიმართულებით კანონმდებლობით გათვალისწინებული კომპეტენციის ფარგლებში, მეგობრული, ეკონომიკური, საქმიანი ურთიერთობების ხელშეწყობისა და ერთობლივი პროექტებისგანხორციელების მიზნით, საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით დასაერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ფარგლებში, სხვადასხვა ფორმატში აჭარის უმაღლესი საბჭოს დელეგაციებთან ერთად განვახორციელე გასვლითი ვიზიტები, კერძოდ:

- პოლონეთი, კარპაჩი - 06.09.2022 - 10.09.2022 (ვიზიტი ითვალისწინებდა კარპაჩის 31-ე ეკონომიკურ ფორუმში - „ევროპა ახალი გამოწვევების წინაშე“ მონაწილეობას, ასევე, ქვემო სილეზიის ხელისუფლების წარმომადგენლებთან ოფიციალური შეხვედრებს და ქედისა და ბარდოს მუნიციპალიტეტებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებას);
- თურქეთი, ტრაპიზონი - 23.09.2022-25.09.2022 (ვიზიტი ითვალისწინებდა ბათუმის დღეებთან დაკავშირებით დაგეგმილ ღონისძიებებში მონაწილეობას);
- ავსტრია, ზალცბურგი - 21.10.2022 - 26.10.2022 (ითვალისწინებდა ევროპის რეგიონთა ინსტიტუტის (IRE) 18-ე სამიტში „ხედვები ევროპისთვის მოლოდინები და რეალობა“ მონაწილეობის მიღებას და ასევე ევროპის რეგიონის ინსტიტუტის წევრთა გენერალურ ყრილობაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ პრეზენტაციის წარდგენას);
- პოლონეთი, ვროცლავი - 02.03.2023 – 07.03.2023 (ვიზიტის მიზანი: ტურიზმისა და დასვენების საერთაშორისო გამოფენის გახსნის ცერემონიალში მონაწილეობის მიღება და ქვემო სილეზიის ხელისუფლების წარმომადგენლებთან ოფიციალური შეხვედრების გამართვა;
- გერმანია, პოტსდამი - 17.03.2023 – 20.03.2023 (საკანონმდებლო ორგანოებს შორის ურთიერთობების გაღრმავების მიზნით სამმხრივ შეხვედრაში მონაწილეობის მიღება;
- ბელგია, ბრიუსელი - 04.07.2023 – 08.07.2023 (ბრიუსელში ევროკავშირის მაღალი თანამდებობის პირებთან შეხვედრები);
- ისრაელი, იერუსალიმი - 07.08.2023 – 10.08.2023 – (საქართველოს პარლამენტისა და ქნესეთის „მეგობრობის ჯგუფის“ დელეგაციასთან ერთად ოფიციალური

შეხვედრების გამართვის მიზნით);

- პოლონეთი, ზიელონა გორა - (ტრადიციულ დღესასწაულზე „ზელიონა გორა - ღვინის ფესტივალი 2023“ დასწრების მიზნით)
- 22.09.2023 – 26.09.2023 – (ევროპის მე-19 სამიტში - „ევროპა: ახალი ჰორიზონტების დასაწყებად“ მონაწილეობის მისაღებად)

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში უმაღლეს საბჭოში ვუმასპინძლე სხვადასხვა ქვეყნის დელეგაციას:

- ევროპის რეგიონთა ინსტიტუტის (IRE) პრეზიდენტის ვიზიტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში;
- ქვემო სილეზიის დელეგაციის ვიზიტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში - 17.05.2023 – 24.05.2023 წ;

ასევე, საანგარიშო პერიოდში ვესწრებოდი საქართველოში აკრედიტებული უცხო ქვეყნების საელჩოების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებს, რომლებიც ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების სხვადასხვა საიუბილეო თარიღებისადმი იყო მიძღვნილი. გარდა ამისა, დავესწარი საკონსულოების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებს.

აქვე უნდა აღინიშნოს ჩემი შეხვედრები:

- ევროკავშირის ასოცირების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარესთან, ევროპარლამენტარ მარინა კალიურანდსა და ევროპარლამენტარ სვენ მიქსერთან, სადაც რეგიონის პოტენციალსა და ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსთან დაკავშირებით შესახებ შედგა საუბარი;
- გერმანიის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის (KFW), გერმანიის ჰესენის მიწის სატყეო სააგენტოსა და ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) წარმომადგენლებთან;
- ევროკავშირის ელჩთან, პაველ ჰერჩინსკისთან. (შეხვედრაზე ევროკავშირთან პარტნიორობის ზოგად საკითხებზე ვისაუბრეთ - ევროკავშირის მხარდაჭერით განხორციელებულ და მიმდინარე პროექტებზე, ღია მმართველობის მიმართულებით განხორციელებულ რეფორმასა და საკანონმდებლო ორგანოს ინსტიტუციურ განვითარებაზე);
- საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის განვითარების და თანამშრომლობის განყოფილების უფროსთან, ნიკოლას სენდროვიჩთან;

- თურქეთის მთავარ ომბუდსმენთან, შერევ მალკოჩთან;
- სომხეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან, აშოტ სმბატიანთან;
- ქ.ბათუმში სომხეთის გენერალურ კონსულთან, ნარინე მათუსიანთან და კონსულთან, ვაჰაგან ფილაპოსიანთან;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარესთან, მერაბ ტურავასთან და სომხეთის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარესთან, არმან დილანიანთან;
- საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამის UNDP-ის მუდმივმოქმედ წარმომადგენელთან, დაგლას უებთან, სადაც გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის მიმდინარეობა და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები განვიხილეთ.

აქტიურად ვიყავი ჩართული უმაღლესი საბჭოს დონორ ორგანიზაციებთან კოორდინაციით მიმდინარე პროექტებსა და ინიციატივებში, რამაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საბჭოს სტრატეგიული მიზნების განხორციელებაში. აღსანიშნავია, ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამასთან (UNDP) თანამშრომლობით საპარლამენტო დემოკრატიის კონსოლიდაციის პროექტის ფარგლებში მრავალმხრივი პროექტების განხორციელება ინფორმაციის თავისუფლების ინსტიტუტის (IDFI) მხარდაჭერა, USAID-თან უმაღლესი საბჭოს ინსტიტუციური და ადამიანურ რესურსების გაძლიერების თვალსაზრისით დაგეგმილი პროექტები თანამშრომელთა სამართლებრივი ჩარჩოს სრულყოფის მიზნით. საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდის (IFIS) მხარდაჭერა გენდერული საბჭოს მუშაობის მხარდასაჭერად. GIZ- ის მხარდაჭერით მიმდინარე საპარლამენტო პროექტში უმაღლესი საბჭოს ინტელექტუალური რესურსის გაძლიერება და სხვა.

5. სხვა აქტივობები

5.1. უმაღლეს საბჭოსი გამართულ ღონისძიებებში მონაწილეობა

როგორც უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ/წევრმა მონაწილეობა მივიღე უმაღლეს საბჭოში გამართულ სხვადასხვა ღონისძიებებში, მათ შორისაა:

- შეხვედრა ჟან მონეს საზაფხულო სკოლის - „კონსტიტუციური დემოკრატია ევროკავშირში: თანამედროვე გამოწვევები“ მონაწილეებთან;

- შეხვედრა „სანკო ჰოლდინგის“ წარმომადგენლებთან. შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა საინვესტიციო პროექტზე, რომელიც შავი ზღვის პროდუქტების კეთილგონივრულ გამოყენებას ითვალისწინებს;
- შეხვედრა საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარესთან, ელისო ბოლქვაძესთან;
- შეხვედრა მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის - ,,ალტერბრიჯის" დამფუძნებელსა და რექტორთან, ნათია გოცაძესთან. გაცნობითი ხასიათის შეხვედრა საკანონმდებლო ორგანოსა და სასწავლო დაწესებულებას შორის სამომავლო თანამშრომლობის საკითხებს დაეთმო;
- შეხვედრა - USAID-ის „სამოქალაქო განათლების პროგრამის“ პარტნიორი სკოლების მოსწავლეებთან;
- შეხვედრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური პროექტის - „ვიზიტების“ მონაწილე სტუდენტებთან.

5.2. გასვლითი ღონისძიებები:

- წლის საუკეთესო სპორტსმენების, ვეტერანების, მწვრთნელების, ჟურნალისტების დაჯილდოება;
- მედიკოსების დაჯილდოება;
- წლის საუკეთესო სპორტსმენთა დაჯილდოება;
- სამშობლოს თავისუფლებისთვის ბრძოლაში დაღუპულთა
- ხსოვნისადმიმიძღვნილი ღონისძიება;
- „გენდერული თანასწორობისა და მრავალფეროვნების“ კონფერენცია;
- საერთაშორისო ტურისტული გამოფენა „EXPO Batumi Travel 2022” გახსნა;
- უმაღლეს საბჭოს ღია მმართველობის საბჭოსა და საკონსულტაციო ჯგუფის ერთობლივი სხდომა;
- ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები;
- შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში „ადრეული განათლება და ზრუნვა სემინარი გახსნა;

- შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამერიკა-საქართველოს შორის ურთიერთობისა და სტრატეგიული პარტნიორობისადმი მიძღვნილი ღონისძიების გახსნა;
- ღია მმართველობის საბჭოსა და საკონსულტაციო ჯგუფის გასვლითი სამუშაო შეხვედრა;
- მაჭახელას ეროვნული პარკის ახალგახსნილი ცენტრის დათვალიერება;
- შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში კურსდამთავრებულებთან შეხვედრა;
- ბათუმში ხელოვნური კუნძულის პროექტის განხორციელების დაწყების გახსნის ცერემონია;
- აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრი ქვეყნების პარლამენტის აპარატის თანამშრომლების შემოდგომის აკადემიის მასპინძლობა;
- „EXPO MED ბათუმი“ გამოფენის გახსნა;
- ახალი საჯაროს სკოლის მშენებლობის დაწყების ცერემონია;
- მასწავლებლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გამართული საზეიმო ღონისძიება;
- ფორუმი „აჭარის აგრარული შესაძლებლობები“ გახსნის ცერემონია;
- შუშანა ფუტკარაძის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტში;
- საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს სემინარი - ავტონომიური რესპუბლიკის სიმბოლოები;
- სასკოლო თეატრალური დასების ფესტივალი „პირველი ავტოგრაფი“;
- უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოსა და მუნიციპალიტეტების გენდერულ საბჭოებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება;
- რეგიონის მეგზევეების პროფესიული დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება;
- წარმატებული ხელოვანების დაჯილდოება;

- გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის დასაქმების ფორუმი;
- წლის საუკეთესო სპორტსმენების დაჯილდოება;
- სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანამშრომლების დაჯილდოება;
- მიღება საკონსტიტუციო სასამართლოში;
- შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 25 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება;
- ტურისტული დაჯილდოება „მაგნოლია“ ;
- ტურიზმის ოსკარის სახელით ცნობილი - World Travel Awards-ის დაჯილდოება;
- გონიოს ისტორიულ ციხესიმაგრეში ,,რომაული ფესტივალი 2023-ის“ გახსნის ღონისძიება;
- ბათუმში საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დაარსებიდან 29 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება
- ახალგაზრდული კონგრესი -2023;
- კონკურსებსა და საგნობრივ ოლიმპიადაში გამარჯვებულთა დაჯილდოება;
- სახალხო დღესასწაული - „ტბელობა“;
- ,,შემოდგომა ქედაში“ და ,,ქედის ღვინის ფესტივალი“;
- ფოტოგამოფენა - ,,ძველი ბათუმი ფოტოზე” და ღვაწლმოსილი ფოტოგრაფების დაჯილდოება;
- შეხვედრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური კლუბის - ,,რუსთაველის” წევრებთან;
- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტის 30 წლის იუბილე;
- ტურიზმისა და სასტუმრო აღჭურვილობის მე-14 საერთაშორისო გამოფენა;
- შპს „ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო“ 120 წლის საიუბილეო ღონისძიება;
- აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს IV საერთაშორისო

სემინარის გახსნა;

- ეროვნულ დღესასწაულებთან და სხვადასხვა მნიშვნელოვან დღეებთან დაკავშირებული ღონისძიებები და სხვა.

6. საზედამხედველო საქმიანობა

საზედამხედველო საქმიანობის განხორციელება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური ვალდებულებაა.

საანგარიშო პერიოდში საბჭო აქტიურად ახორციელებდა კანონმდებლობით მინიჭებულ მაკონტროლებელ უფლებამოსილებებს, იყენებდა საზედამხედველო ინსტრუმენტებს და აკონტროლებდა აჭარის მთავრობისა და სხვა ანგარიშვალდებული ორგანოების საქმიანობას, რომელშიც როგორც უმაღლესი საბჭოს წევრი აქტიურად ვიყენებდი ჩემი მანდატის ფარგლებში არსებულ უფლებამოსილებებს.

6.1. სადეპუტატო კითხვა

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სადეპუტატოკითხვის ადრესატებს ჩემს მიერ გაეგზავნათ 2 სადეპუტატო კითხვა. ორივე კითხვაზეკანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებულია პასუხები. როგორც ჩემი სადეპუტატო კითხვები, ასევე მათზე პასუხები უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის შესაბამისად გამოქვეყნებულია უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე.

6.2. სხვა საზედამხედველო ინსტრუმენტები

უნდა აღინიშნოს, რომ საზედამხედველო საქმიანობის ეფექტიანად განხორციელების მიზნით თავის მხრივ უმაღლესი საბჭო აქტიურად იყენებდა რეგლამენტით გათვალისწინებულ სხვა ინსტრუმენტებს, მათ შორის თემატურ მოკვლევას, რომლის დანერგვაშიც როგორც უმაღლესი საბჭოს წევრი აქტიურად ვმონაწილეობდი.

კიდევ ერთი საზედამხედველო ინსტრუმენტი, რომელიც ასევე რეგლამენტირებულია და უმაღლესი საბჭო აქტიურად იყენებს, არის „მინისტრის საათი“, რომელიც წელიწადში არანაკლებ ერთხელ, მთავრობის ცალკეული წევრების მოხსენებით გამოსვლას გულისხმობს.

უმაღლესმა საბჭომ 2023 წლის საგაზაფხულო სესიაზე „მინისტრის საათის“ ფორმატში ჩაატარა 4 სხდომა, სადაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრებს მოუსმინა. ყველა სხდომაზე, გარდა სხდომის თავმჯდომარისათვის მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებისა, შესაბამისი მინისტრისათვის დასმული მაქვს

კითხვა/კითხვები და მონაწილეობა მაქვს მიღებული პოლიტიკურ დებატებში.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2023 წელს უმაღლესმა საბჭომ „მინისტრის საათის“ ფორმატში მინისტრების ანგარიშების მოსმენის გარდა, მოისმინა ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ყოველწლიური ანგარიში. უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე www.sca.ge ელექტრონულფორმატში ხელმისაწვდომია აჭარის მთავრობისა და ცალკეული სამინისტროების მიერ წარმოდგენილი ანგარიშები.

7. გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება

7.1. გამჭვირვალობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, უზრუნველყოფდა საბჭოს საქმიანობის, საბჭოს პლენარული და ბიუროს სხდომების, კომიტეტების სხდომების, განხილვის პროცესში მყოფი საკითხებისა და დღის წესრიგების უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე განთავსებას.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომები ლაივ რეჟიმში უწყვეტად მიმდინარეობდა, თუმცა, 2022 წლის ბოლო კვარტალში დაიწყო საბჭოს ბიუროს, კომიტეტების სხდომებისა და საბჭოში მოქმედი სათათბირო ორგანოების სხდომების ლაივსტრიმინგი.

უმაღლესი საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით, ღია მმართველობის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, აჭარის უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომათა დარბაზი და ბიუროს ოთახი აღიჭურვა

თანამედროვე ტექნოლოგიებით, რითაც გაიზარდა ლაივ რეჟიმის ხარისხი, გარდა ამისა სხდომის მიმდინარეობისას ელექტრონული საშუალებების გამოყენების საფუძველზე დეპუტაციას შესაძლებლობა მიეცა განცხადებების გაკეთების, კითხვის დასმის თუ სხვა საკითხთან დაკავშირებით ისარგებლონ ტექნოლოგიური სიახლეებით. ტექნიკური მიმართულებით მიღწეული სიახლეები აჭარის უმაღლესმა საბჭომ გაეროს განვითარების პროგრამის UNDP-ის მხარდაჭერით დანერგა.

7.2. ანგარიშვალდებულება

აჭარის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მეორე მუხლის თანახმად, საბჭოს მუშაობის პრინციპებია საჯაროობა, გამჭვირვალობა და ხელმისაწვდომობა. უმაღლესი საბჭო აქტიურად ცდილობს დანერგოს ღია მმართველობის პრინციპები საკანონმდებლო საქმიანობაში, რისთვისაც მოქალაქეთა მიღება, მათთვის სხვადასხვა სერვისის შეთავაზება და საბჭოს საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება ,,ჩართულობის

ცენტრის“ შექმნით შეძლო. საბჭოს შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა, მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრის შექმნის თვალსაზრისით, ასევე ითვალისწინებს შენობაში ექსკურსიების დაგეგმვას და საბჭოს ფუნქციებზე ინფორმაციის მიწოდებას. საანგარიშო პერიოდში 27 ექსკურსიის ფარგლებში საბჭოს 522 ახალგაზრდა ეწვია (სტუდენტი-მოსწავლე).

ექსკურსია საბჭოში იგეგმებოდა მოთხოვნის შესაბამისად, (ზოგადად - უმაღლეს საბჭოში, ან თემატურად - პლენარულ სხდომაზე, დარგობრივ კომიტეტებში, ან უმაღლესი საბჭოს აპარატში).

მდგრადი განვითარების მიზნების (მე-16 მიზანი) მისაღწევად საბჭომ, ასევე დანერგა პეტიციის ელექტრონული პლატფორმა www.chaerte.sca.ge, რომლის ფარგლებშიც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სულ დარეგისტრირდა 5 პეტიცია.

საანგარიშო პერიოდში, დაინტერესებული მხარეს/პირის მიერ, პლატფორმის მეშვეობით განხორციელდა, დეპუტატთან შეხვედრის ჩანიშვნა, კანონისპროექტზე კომენტარის გაკეთება, ელექტრონული საშვი და სხვა.

8. მუდმივმოქმედი სათათბირო ორგანოები

8.1. ღია მმართველობის საბჭო

2020 წლიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ჩაერთო ღია მმართველობის ინიციატივაში და წამოიწყო ინსტიტუციური ღიაობის რეფორმა. პროცესის ფარგლებში ჩამოყალიბდა მუდმივმოქმედი ორგანო - ღია მმართველობის საბჭო, რომლის შექმნის დღიდანაც როგორც თავმჯდომარე ვხელმძღვანელობ მის საქმიანობას.

2022 წლის 31 ივლისს რიგით მეორე 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმა დამტკიცდა.

სამოქმედო გეგმების შემუშავებას წინ უძღოდა აქტიური კომუნიკაცია სამოქალაქო საზოგადოებასთან, ასევე, უმაღლეს საბჭოში წარმოდგენილ პოლიტიკურჯგუფებთან. აღსანიშნავია, რომ გეგმით გათვალისწინებულ ვალდებულებათა უდიდესი ნაწილი სწორედ სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელთა ინიციატივებს პასუხობდა, თუმცა მეორე სამოქმედო გეგმაში გაიზარდა ახალგაზრდების ჩართულობის ხარისხი, იმ თვალსაზრისით, რომ საბჭომ არამხოლოდ გამოაცხადაგეგმაში გასათვალისწინებელი ვალდებულებების შესახებ იდეების ღია კონკურსი, არამედ ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილი სამი იდეა გაიზიარა და ასახა 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმაში და კონკურსს ყოველწლიური ხასიათი მისცა.

უმაღლესი საბჭო აქტიურ ნაბიჯებს დგამს ღია მმართველობის პრინციპების დასანერგად. შესაბამისად, გეგმებისა თუ ანგარიშების შემუშავებაში ჩართულია ყველა ერთეული, რომლებსაც არსებითი როლი აქვთ ამ პროცესში.

ინსტიტუციური ღიაობის დანერგვის პროცესში უმაღლესმა საბჭომ შეძლო სხვადასხვა მიმართულებით მობილიზება და ცალკეული ინიციატივების განხორციელება სამოქმედო გეგმის მიღმა, რაც საზოგადოების მეტ მონაწილეობას გულისხმობდა საზედამხედველო მექანიზმში. ამის ნათელი მაგალითია პლატფორმა Chaerte.sca.ge, რომელიც არაერთ

მნიშვნელოვან ონლაინ სერვისს სთავაზობს მოქალაქეებს, კერძოდ პლატფორმის საშუალებით 2023 წელს მოქალაქეებმა შეძლეს:

- წარედგინათ ელექტრონული ან წერილობითი პეტიცია, ან ჩართულიყვნენ არსებულზე და მხარი დაეჭირათ 5 პეტიციაზე[3];
- გამოეგზავნათ კითხვა დეპუტატებისათვის;
- ჩაენიშნათ ექსკურსიები უმაღლეს საბჭოში[4];
- მოეთხოვათ ელექტრონული საშვი პლენარულ სხდომაზე დასასწრებად;
- მოემართათ საბჭოსთვის წერილობით;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ღია მმართველობის საბჭოს 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულების თვალსაზრისით, უმაღლესი საბჭო ასევე ახორციელებს თემატურ მოკვლევას. უმაღლესი საბჭო თემატურ მოკვლევას მიიჩნევს ერთ-ერთ მნიშვნელოვან საზედამხედველო ინსტრუმენტად და საჭიროდ თვლის ჩაატაროს თემატური მოკვლევა მდგრადი განვითარების დღის წესრიგის მიზნებისა და ღია მმართველობის საკითხებზე, რათა ბევრად ეფექტიანი და ინკლუზიური გზები მოძებნოს საზედამხედველო თუ საკანონმდებლო საქმიანობაში არსებულ პრობლემათა მოსაგვარებლად. ღია მმართველობის საბჭოს ინიციატივით ჩატარდა თემატური მოკვლევა, რომელიც ეხებოდა ღია მმართველობის შეფასებას აჭარის აღმასრულებელ ხელისუფლების ორგანოებში.

---

[3] სულ დარეგისტრირდა 9 (საანგარიშო პერიოდში 5) პეტიცია და მოაგროვა საჭირო ხმების რაოდენობა. თუმცა დადგენილ ნორმებთან შეუსაბამობის გამო ერთი პეტიცია უარყოფილ იქნა;

[4] 400-ზე მეტი ახალგაზრდა გაეცნო საკანონმდებლო საქმიანობას, პრინციპებს, უფლებამოსილებებს, ჩართულობის ცენტრისა და sca.ge-ს საქმიანობას;

ღია მმართველობის კუთხით არანაკლებ მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო, საერთაშორისო პარტნიორებთან ურთიერთობა და გამოცდილების გაზიარება. მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი საბჭო არ არის ღია მმართველობის პარტნიორობის ადგილობრივი ქსელის, OGP Local-ის წევრი, საბჭომ ღია მმართველობის კუთხით, მაგ: სამოქმედო გეგმის თანაშემოქმედებითი პროცესით მიღება, ინსტიტუციური ეფექტიანობის გაძლიერება და ამბიციური ვალდებულებების აღება გამჭვირვალობისა თუ მოქალაქეთა ჩართულობის გასაზრდელად) სხვა ქვეყნების ინტერესი გამოიწვია, რაც საბოლოოდ უმაღლესი საბჭოს მიერ ღია მმართველობის პარტნიორობის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, სპეციალურ ბლოგში, ინსტიტუციური ღიაობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაძლიერების მიმართულებით აჭარის უმაღლესი საბჭოს გამოცდილების შესახებ ვრცელი ინფორმაციის გამოქვეყნებით დასრულდა და უმაღლესმა საბჭომ მიიღო შეთავაზება, კოორდინაცია გაუწიოს და გახდეს არაწევრი საკანონმდებლო ორგანოების ქსელის შექმნის ფლაგმანი.

8.2. გენდერული თანასწორობის საბჭო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს მისიაა ინსტიტუციური გაძლიერების გზით, ხელი

შეუწყოს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში თანასწორობის პრინციპებზე დაფუძნებულისაზოგადოების შექმნას, რომლის თითოეულ წევრსაც ექნება თანაბარი შესაძლებლობა განახორციელოს საკუთარი უფლებები და თანაბრად ისარგებლოს სახელმწიფოში არსებული სიკეთეებით. გენდერული თანასწორობა, როგორც კონსტიტუციით განმტკიცებული ღირებულება წარმოადგენს პრიორიტეტს ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს პრიორიტეტების (2021–2023 წლების სამოქმედო გეგმა) შესაბამისად უმაღლესი საბჭოს მუდმივმოქმედი გენდერული

თანასწორობის საბჭო აქტიურად მუშაობდა, როგორც თვითმმართველობის, ასევე ქვეყნის დონეზე ნაკისრი ვალდებულებებისა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანების შესასრულებლად.

8.3. ხაზინადართა საბჭო

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ხაზინადართა საბჭომ გამართა 3 სხდომა და გასცა შემდეგი რეკომენდაციები.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2023 წლის ბიუჯეტის

დეტალურ განაწერაში ცვლილებებთან დაკავშირებით ხაზინადართა საბჭოს რეკომენდაციის შემუშავება (30.11.2022);

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს შრომის ანაზღაურებისფონდში წარმოდგენილი ეკონომიის განკარგვის თაობაზე ხაზინადართა საბჭოს რეკომენდაციის შემუშავება (26.12.2022);

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებით (10.01.2023).

9. დამატებითი ინფორმაცია

ანგარიშვალდებული პირისა და მისი აქტივობების შესახებ ინფორმაციის მოძიება დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ შემდეგ მისამართებზე:

https://sca.ge

https://www.facebook.com/tavmjdomare

https://www.facebook.com/GabaidzeDavit

http://www.youtube.com/@davit_gabaidze

https://www.academia.edu/?from_navbar=true&trigger=nav

10. ინფორმაცია ანგარიშვალდებული უმაღლესი საბჭოს წევრის შესახებ

დავით გაბაიძე

არჩევის ფორმა: ***პროპორციული წესით, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“***

დაბადების თარიღი: ***10 აგვისტო, 1980***

ტელეფონი: ***(0322) 28 54 00***

ელფოსტა: ***davitgabaidze@gmail.com***

განათლება

1997-2002 - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი, სპეციალობა - სამართალმცოდნეობა

მიმდინარე საქმიანობა უმაღლეს საბჭოში:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მე-5 მოწვევის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე;
- უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის საბჭოს თავმჯდომარე;
- ფრაქცია "ქართული ოცნების" წევრი.

პოლიტიკური კარიერა და სამუშაო გამოცდილება:

- 2020 წლიდან დღემდე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მე-5 მოწვევის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე;
- **2022-დღემდე** - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, პროფესორი;
- **2016-2020** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მე-4 მოწვევის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე;
- **04.2014-2016** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი;
- **03.2013-04.2014** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;
- **12.2012-03.2013** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი;
- **05.2012-04.2014** - შპს „მომავლის სახლი“, იურისტი;
- **08.2010-12.2012** - შპს „გაბაიძე და პარტნიორები“; პარტნიორი, ადვოკატი;
- **2002-2012** - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მასწავლებელი;
- **11.2007- 12.2012** - დავით გაბაიძის საადვოკატო ბიურო, ადვოკატი;
- **03.2011-04.2012** - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული კლინიკის კოორდინატორი;
- **2009-2011** - შპს „გიგერო“, იურისტი;
- **2007–2009** - ერთობლივი საქმიანობის – ბინათმშენებლობის ამხანაგობა „გორგასალი74“, იურისტი;
- **05. 2006 –11.2007** - აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მთ. სპეციალისტი;
- **2005–2006** - სსიპ „ბათუმის ზღვისპირა პარკის“ იურიდიული განყოფილების უფროსი;
- **2004–2005** - შპს „ნორმა“, ადვოკატი;
- **2002-2004** - ხულოს რაიონული საკრებულოს წევრი;
- **2002-2004** - ბათუმის უმაღლესი საფინანსო სკოლა, უფროსი მასწავლებელი;

დამატებითი ინფორმაცია:

- 03.2024 წლიდან - საჯარო სამსახურის საბჭოს წევრი;

- **2018–2019** წწ. -„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტის საჯარო განხილვის საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარე;
- **2016–2017** წწ. - საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრი;
- **2015-დან - დღემდე** - ევროპის რეგიონთა ასამბლეის რეგიონული ექსპერტი;
- **2005-2016** - სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია“ დამფუძნებელი, წევრი;
- **2012**- სსიპ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატა“ მედიაციის ცენტრის მედიატორი;
- **2011-2012** - შპს „ბათუმის მუდმივმოქმედი არბიტრაჟი”, არბიტრი.

საკვალიფიკაციო გამოცდები:

- მარტი, 2013 - მოსამართლეობისსაკვალიფიკაციო გამოცდა - სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალობით ნოემბერი;
- 2005 - მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა - საერთო სპეციალიზაციით სექტემბერი;
- 2004 - ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა - საერთო სპეციალიზაციით.